

Interreg



Co-funded by
the European Union



NEXT Black Sea Basin



ბიოლოგიანი #3

თებერვალი, 2026



ინოვაციის
ტალღები



EfxINNOs:

პროგრესის მნიშვნელოვანი ექვსი თვე

მოგესალმებით პროექტის მესამე საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც მხარდაჭერილია Interreg NEXT Black Sea Basin Programme-ის მიერ.

გასული ექვსი თვის განმავლობაში EfxINNOs პროექტმა შავი ზღვის რეგიონში საზღვაო მონიტორინგის, ინოვაციისა და თანამშრომლობის განვითარებაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ძირითადი მიღწევებია:

ა) მაღალი დონის ერთობლივი ღია მასტერკლასის ორგანიზება სტამბოლში, რომელშიც მონაწილეობდა 70 წარმომადგენელი 27 ინსტიტუციიდან და 5 ქვეყნიდან;

ბ) აქტიური ჩართულობა შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის (Black Sea Common Maritime Agenda) დაინტერესებულ მხარეთა კონფერენციაში, რომელიც კონსტანცაში გაიმართა;

გ) პრაქტიკული mAUV ტრენინგების განხორციელება რეგიონული ტექნიკური შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

ამავდროულად, EfxINNOs პროექტმა გააფართოვა თავისი საზოგადოებრივი გავლენა ბულგარეთში ინტერაქტიული საინფორმაციო კიოსკების განთავსებით და საქართველოში სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების გამოცემით, რაც საზღვაო მეცნიერებას საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს ხდის.

ერთობლივად, ეს აქტივობები აჩვენებს EfxINNOs-ის შესაძლებლობას დააკავშიროს მეცნიერება, პოლიტიკა, ინდუსტრია და მოქალაქეები; გარდაქმნას საზღვაო მონაცემები და ინოვაცია პრაქტიკულ გადაწყვეტილებებად, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმირებულ გადაწყვეტილებათა მიღებას, მდგრად „ლურჯ განვითარებას“ და შავი ზღვის გრძელვადიან გარემოს დაცვას.

ასევე ვამაყობთ, რომ EfxINNOs Sustainable Blue Economy Partnership (SBEP)-ის მიერ შერჩეულია ევროპის მასშტაბით ექვს პროექტს შორის, რომლებიც მიწვეული არიან მონაწილეობისთვის თემატურ წლიურ პროგრამაში (Thematic Annual Programming – TAP). აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს, მრავალმხრივი ზეწოლის პირობებში, სანაპირო და საზღვაო სოციალურ-ეკოსისტემათა მდგრადობის გაძლიერებას, რათა ხელი შეუწყოს მდგრადი ლურჯი ეკონომიკის განვითარებას ცვალებად სამყაროში.

შემოგვიერთდით, ერთად გავაზიაროთ მიღწეული შედეგების ისტორია!.





მეორე ერთობლივი ღია მასტერკლასი

სტამბოლი, 17 ოქტომბერი, 2025

EfxINNOs-ის მეორე ერთობლივი მასტერკლასი გაიმართა სტამბოლში და გააერთიანა ექსპერტები და გადაწყვეტილების მიმღები პირები, რათა ემსჯელათ, როგორ შეუძლია ინოვაციურ საზღვაო მონიტორინგის ტექნოლოგიებს უფრო ეფექტურად დაუჭიროს მხარი შავი ზღვის მდგრად „ლურჯ ეკონომიკას“.

მასტერკლასი ორგანიზებული იყო სტამბოლის უნივერსიტეტის მიერ და მას მასპინძლობდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) მუდმივი საერთაშორისო სამდივნო (BSEC PERMIS). ღონისძიება ჩატარდა ჰიბრიდულ ფორმატში და მასში მონაწილეობდა დაახლოებით 70 მონაწილე 27 ინსტიტუციიდან, ხუთი ქვეყნის მასშტაბით.

დისკუსიები ორიენტირებული იყო „მონაცემები ანგარიშებისთვის“ მიდგომიდან „მონაცემები გადაწყვეტილებებისთვის“ მიდგომაზე — რაც გულისხმობს, რომ თანამედროვე მონიტორინგის ტექნოლოგიები პირდაპირ შეიძლება იქნას გამოყენებული პოლიტიკის შემუშავებაში, სანაპირო ზონის მართვასა და საზღვაო სექტორებში, როგორცაა გადაზიდვები, პორტები, ტურიზმი, მეთევზეობა, აკვაკულტურა, განახლებადი ენერგეტიკა და საზღვაო კვლევები.

ხუთი თემატური პანელის ფარგლებში სამინისტროების, რეგიონული ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტების, აკადემიური წრეების, ინდუსტრიისა და კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებმა გააზიარეს პრაქტიკული მაგალითები, თუ როგორ შეიძლება საზღვაო მონაცემები, სენსორები, ავტონომიური წყალქვეშა აპარატები და ციფრული ინსტრუმენტები გარდაიქმნას რეალურ გადაწყვეტილებათა მიღებისთვის გამოსადეგ პროდუქტებად და სერვისებად.

ვორქშოფმა ასევე გამოკვეთა სხვადასხვა ქვეყნების თანამშრომლობის, მონაცემთა ურთიერთ თავსებადობის და რეგიონულ და ევროპულ ჩარჩოებთან შესაბამისობის მნიშვნელობა, მათ შორის შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგთან და ევროკავშირის ინოვაციისა და დაფინანსების ინსტრუმენტებთან. განხილული იქნა გლობალური საუკეთესო პრაქტიკებიც, როგორცაა ღია მონაცემთა სტანდარტები და გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემები..

>>> შემდეგი გვერდი



მეორე ერთობლივი ღია მასტერკლასი ლონისძიების ძირითადი შედეგები

ლონისძიების ძირითადი შედეგები აისახება პრიორიტეტული გამოყენების შემთხვევებისა და ტექნოლოგიური მიმართულებების საჯარო ჩამონათვალში, რაც ხელს შეუწყობს რეგიონული საზღვაო მონიტორინგის ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას და EfxINNOs-ის 2026 წლის ჰაკათონების ორგანიზებას.

სტამბოლის მასტერკლასმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მეცნიერების, პოლიტიკისა და ინდუსტრიის შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით — რაც უზრუნველყოფს, რომ საზღვაო მონაცემები ემსახურებოდეს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებსა და შავი ზღვის რეგიონში მდგრად განვითარებას.

შერჩეული ციტატები შესავალი და პანელური სესიებიდან:

„EfxINNOs აერთიანებს ეროვნულ პასუხისმგებლობებს რეგიონულ საყრდენთან სტანდარტიზებული ჩარჩოს მეშვეობით, რომელიც ქმნის მონაცემებს 'გადაწყვეტილებებისთვის' — და სწრაფად გარდაქმნის მათ პრაქტიკული გადაწყვეტილებების პორტფელებად.“

– პროფ. დოქტ. იელდა აქტანი, EfxINNOs-ის თურქეთის ლიდერი, სტამბოლის უნივერსიტეტი.

„სტამბოლის ვორქშოპმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ ტექნიკური შესაძლებლობების ინტეგრაციის მიმართულებით მრავალმხრივი დაინტერესებული მხარეების მდგრადობის დღის წესრიგში. განსაკუთრებით, ისეთ სექტორებში, როგორცაა პორტები, გემთმშენებლობა, ტურიზმი, აკვაკულტურა და განახლებადი ენერჯეტიკა.“ – პროფ. გეორგიოს სილაიოსი, EfxINNOs პროექტის კოორდინატორი, დემოკრიტეს თრაქიის უნივერსიტეტი.

EfxINNOs წარმოდგენილი იყო შავი ზღვის დაინტერესებულ მხარეთა კონფერენციაზე



კონსტანტა, რუმინეთი, 28 ოქტომბერი, 2025

EfxINNOs პროექტმა დამსახურებულად მიიღო მონაწილეობა შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის (Black Sea Common Maritime Agenda) დაინტერესებულ მხარეთა კონფერენციაში, რომელიც გაიმართა კონსტანტის ისტორიულ კაზინოში.

როგორც ევროკავშირის შავი ზღვის აუზის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, EfxINNOs პროექტი შეუერთდა პოლიტიკის შემმუშავებლებს, ექსპერტებსა და ევროკავშირის წარმომადგენლებს — მათ შორის ევროკომისიის საზღვაო საქმეთა და მეთევზეობის გენერალურ დირექტორატს (DG MARE) და შავი ზღვის დახმარების მექანიზმის (BSAM) კოორდინატორს — ასევე სხვა პროექტებსა და რეგიონულ დაინტერესებულ მხარეებს, რათა გაეზიარებინათ ხედვები და გამოცდილება შავი ზღვის რეგიონში ინოვაციის, მდგრადობისა და „ლურჯი ზრდის“ განვითარების მიმართულებით.

ჩვენმა რუმინელმა პარტნიორმა, საზღვაო კვლევისა და განვითარების ეროვნულმა ინსტიტუტმა „გრიგორე ანტიპა“ (NIMRD), წარმოადგინა პროექტი ამ მაღალი დონის ღონისძიებაზე. პროექტი ცოდნის გადაცემის, ციფრული ტრანსფორმაციისა და მდგრადი საზღვაო ინოვაციების ხელშეწყობის მიზნებს ეხებოდა და სრულ შესაბამისობაში იყო შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის მიზნებთან და ევროკავშირის მდგრადი ლურჯი ეკონომიკის ხედვასთან.

ღონისძიების ფარგლებში, NIMRD-ის გუნდმა პროექტი წარუდგინა DG MARE-ისა და BSAM-ის წარმომადგენლებს, გამოკვეთა მიღწეული პროგრესი და წარმოაჩინა მისი ამბიცია რეგიონული თანამშრომლობისა და მდგრადი ინოვაციების გაძლიერების მიმართულებით.

აქტიური ჩართულობის შედეგად, EfxINNOs აგრძელებს თანამიმდევრულ ინიციატივებს და ხელს უწყობს ერთმანეთთან დაკავშირებული, ინოვაციური და ეკოლოგიურად პასუხისმგებელი შავი ზღვის საზოგადოების განვითარებას..



ინტერაქტიული საინფორმაციო კიოსკები



შავი ზღვის ფარული სამყაროს საზოგადოებასთან დაახლოება


ბულგარეთის შავი ზღვის ადგილობრივი ხელისუფლებების კავშირი (UBBSLA) ამჟამად წარმოგიდგინთ ინტერაქტიული ციფრული საინფორმაციო კიოსკების ქსელს, რომელიც განთავსებულია ბულგარეთის შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვან ლოკაციებზე. EfxINNOs პროექტის ფარგლებში განვითარებული ეს ინიციატივა ხსნის ფანჯარას მომხიბვლელ წყალქვეშა სამყაროში — მეცნიერებას, ტექნოლოგიასა და ბუნებას საზოგადოებისთვის საინტერესო და ინტერაქტიულ გამოცდილებად აერთიანებს.

კიოსკები ადგილობრივ მოსახლეობასა და სტუმრებს სთავაზობს შესაძლებლობას, ინტუიციური სენსორული ეკრანების, დინამიკური თვალსაჩინოების და მდიდარი მულტიმედიური შინაარსის საშუალებით აღმოაჩინონ, რა იმალება ზღვის ტალღების ქვეშ. მომხმარებლებს შეუძლიათ გაეცნონ განახლებულ ინფორმაციას ზღვის ფსკერის მდგომარეობისა და წყალქვეშა ჰაბიტატების სტრუქტურის შესახებ, შავი ზღვისა და ჩრდილოეთ ეგეოსის ზღვის ეკოლოგიურად მნიშვნელოვან ზონებში. შთამბეჭდავი წყალქვეშა ფოტოსურათებიდან დეტალურ სონარულ სკანირებამდე — წარმოდგენილია ლანდშაფტები და ეკოსისტემები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ადამიანის თვალს მიღმა რჩება.

ციფრული შინაარსი დაფუძნებულია უახლესი საზღვაო ტექნოლოგიების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემებზე, მათ შორის ავტონომიურ წყალქვეშა აპარატებზე (microAUV), დისტანციურად მართვად წყალქვეშა მოწყობილობებზე (ROV) და სპეციალიზებულ ზედაპირულ ტივტივაზე, რომელიც განთავსებულია შერჩეულ საპილოტე ტერიტორიებზე.

UBBSLA-ს ექსპერტთა გუნდი რთულ სამეცნიერო მონაცემებს გარდაქმნის მკაფიო, ვიზუალურად მიმზიდველ და ადვილად გასაგებ ინფორმაციად, რაც საზღვაო კვლევებს ყველა ასაკის აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომს ხდის. კიოსკები ახალისებს ცნობისმოყვარეობას, სწავლასა და შავი ზღვის უნიკალური ეკოსისტემების მიმართ პატივისცემას. ინოვაციისა და განათლების შერწყმით, ეს ინტერაქტიული პლატფორმები მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, პასუხისმგებლიანი ქცევის წახალისებას და საზღვაო ეკოსისტემების დაცვის მნიშვნელობის ხაზგასმას. ისინი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ასრულებს თანამედროვე ტექნოლოგია მნიშვნელოვან როლს შავი ზღვის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაში..

კიოსკების ლოკაციებს აქ [გაეცანით!](#)



მეცნიერების პოპულარიზება საქართველოში

დოქტორი ქეთევან კუპატაძე EfxINNOs პროექტს ჟურნალ „მასწავლებლის“ მეშვეობით წარადგენს



ქარქაჭელა „ემინე“

დილის შვიდ საათზე უკვე ჩაგმული და ნასაუზმები ვარ, ნასაუზმები ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, ყავა დავლიე და ფაფა მოვიხარშე. დანარჩენს გზაში შევჭამ. შავი ზღვის სანაპირო ზოლში წყლის ქერქეჭულა უნდა ჩავდგა. სიტყვა „ჩავდგა“ ხმამაღალი ნათქვამია, მე გემზე ვიდგები და „ოპოპოიას“ ძარბილით გავამხნევებ იმ ხალხს, რომლებსაც რეალურად ევალუბათ კონტრაქტით ამხელა აპარატურის ზღვაში ჩაშვება. ქერქეჭულა ზღვის წყლის ქიმიურ ანალიზს ... ვრღელად

mastsavlebeli.ge

მეცნიერების პოპულარიზება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეცნიერო ცოდნის საზოგადოებასთან დაახლოებაში. რთული თემების მკაფიო, საინტერესო და ხელმისაწვდომ ფორმატში წარმოდგენით, სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის მქონე მკითხველს ეხმარება უკეთ გაიგოს მათ გარშემო არსებული სამყარო.

საქართველოში ამ მისიის შესრულებას უკვე ათ წელზე მეტია ემსახურება ჟურნალი „მასწავლებელი“. გამოცემა, რომელსაც ფართოდ კითხულობენ პედაგოგები, მოსწავლეები და ფართო საზოგადოება, აქტიურად უწყობს ხელს მეცნიერების, განათლებისა და ინოვაციების პოპულარიზაციას ხელმისაწვდომი და ინსპირაციული მასალების საშუალებით. <https://mastsavlebeli.ge>

პროექტ EfxINNOs-ის ქართული გუნდის სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორი, პროფესორი ქეთევან კუპატაძე, ჟურნალ „მასწავლებლის“ პირველი ნომრიდანვე მისი მუდმივი ავტორია. ქიმიის თემაზე მომზადებული მისი სამეცნიერო-პოპულარული სტატიების მეშვეობით, იგი წარმატებით აკავშირებს სამეცნიერო ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებასთან. თითოეული სტატია აგებულია საინტერესო სტრუქტურით — იწყება დამაინტრიგებელი ან სახალისო შესავლით, გრძელდება შესავალ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ახსნით და სრულდება დასკვნითი რეფლექსიით, რომელიც თხრობას ერთიან და დასრულებულ სახეს აძლევს.

ცოტა ხნის წინ ჟურნალმა „მასწავლებელმა“ გამოაქვეყნა დოქტორ კუპატაძის ორი ახალი სტატია. ერთ-ერთი მათგანი შთაგონებულია EfxINNOs პროექტით და ეძღვნება საბერძნეთის ულამაზეს ქალაქ კავალას, სადაც გაიმართა EfxINNOs-ის ერთ-ერთი მასტერკლასი. სტატიაში შერწყმულია სამეცნიერო ხედვა და კულტურული შთაბეჭდილებები, რაც ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია საერთაშორისო თანამშრომლობასა და სამეცნიერო გაცვლას გააღვივოს ცნობისმოყვარეობა და სწავლის სურვილი ლაბორატორიის ფარგლებს მიღმაც კი.

თავისი პუბლიკაციებით დოქტორი კუპატაძე აგრძელებს EfxINNOs პროექტის მიზნების მხარდაჭერას — ხელს უწყობს მეცნიერების კომუნიკაციას, განათლებასა და საზღვარგარეთულ თანამშრომლობას, და ამავედროულად სამეცნიერო თემებს ფართო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომსა და მიმზიდველს ხდის.

დამატებითი ინფორმაცია სტატიებისა და EfxINNOs პროექტის შესახებ [ხელმისაწვდომია აქ!](#)

რუმინეთში AUV ტექნოლოგიის მიღწევები

ინსტრუმენტაციის ტრენინგ-მასტერკლასი

სექტემბერი 24-25, 2025/კონსტანცა, რუმინეთი

EfxINNOs-მა წარმატებით უმასპინძლა ორდღიან ინსტრუმენტაციის ტრენინგ-მასტერკლასს კონსტანცაში, საზღვაო კვლევისა და განვითარების ეროვნულ ინსტიტუტში „გრიგორე ანტიპა“ (NIMRD). ვორქშოფმა გააერთიანა მკვლევარები, სტუდენტები, ტექნიკური ოპერატორები, საჯარო უწყებების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები ინტენსიური პროგრამის ფარგლებში, რომელიც ფოკუსირებული იყო ავტონომიური წყალქვეშა აპარატების (AUV) ტექნოლოგიაზე, ოპერირებასა და მონაცემთა მართვაზე.

ყოვლისმომცველი ტრენინგი საზღვაო ინოვაციისთვის >>>

ტრენინგმა მონაწილეებს შესთავაზა სრულყოფილი სასწავლო გამოცდილება, რომელიც აერთიანებდა თეორიულ სესიებს, უსაფრთხოების ტრენინგს და პრაქტიკულ სამუშაოებს რეალურ AUV სისტემებთან. კონსტანცის მასტერკლასმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა EfxINNOs-ის საზღვაო მონიტორინგის ქსელის გაძლიერების მიმართულებით და კიდევ უფრო განამტკიცა რუმინეთის როლი შავი ზღვის აუზში საზღვაო ტექნოლოგიების განვითარებაში.

საერთაშორისო ექსპერტიზისა და ადგილობრივი კვლევითი პოტენციალის შერწყმით, ღონისძიებამ ხელი შეუწყო თანამშრომლობას უნივერსიტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და საჯარო უწყებებს შორის — რაც საფუძველს უყრის რეგიონში ერთმანეთთან დაკავშირებულ, AUV-ზე დაფუძნებულ მონიტორინგის ქსელს.





EfxINNOs — ექვს შერჩეულ პროექტს შორის „ლურჯი ეკონომიკის“ მიმართულებით

EfxINNOs პროექტი შერჩეულია Sustainable Blue Economy Partnership (მდგრადი ლურჯი ეკონომიკის ევროპული პარტნიორობა)-ის (SBEP) მიერ, როგორც ევროპის მასშტაბით მხოლოდ ექვს პროექტს შორის ერთ-ერთი, რომელიც მიწვეულია მონაწილეობისთვის მის თემატურ წლიურ პროგრამაში (Thematic Annual Programming – TAP) თემაზე:


„ ცვალებად სამყაროში მდგრადი ლურჯი ეკონომიკის მხარდასაჭერად, მრავალმხრივი ზეწოლის პირობებში, სანაპირო და საზღვაო სოციალურ-ეკოსისტემათა მდგრადობის გაძლიერება.“

ეს მაღალკონკურენტული შერჩევა EfxINNOs-ის სამეცნიერო ხარისხს, სტრატეგიულ მნიშვნელობასა და ევროპული ინოვაციების სივრცეში ძლიერი გავლენის პოტენციალს გამოარჩევს. ევროკავშირის დონეზე პროექტების ძალიან შეზღუდულ სიაში მოხვედრა ადასტურებს მის მნიშვნელოვან როლს საზღვაო ეკოსისტემების მდგრადობასთან და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევების გადაჭრაში.

SBEP-ის თემატურ წლიურ პროგრამირებაში მონაწილეობა ევროპულ დონეზე ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს დიალოგისა და თანამშრომლობისთვის — პოლიტიკის შემუშავებლებთან, დაფინანსების სააგენტოებთან, მკვლევრებთან, ინდუსტრიის წარმომადგენლებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ასევე, ეს აძლევს EfxINNOs-ს შესაძლებლობას წარმოაჩინოს საკუთარი შედეგები, გაცვალოს საუკეთესო პრაქტიკა და გამოიკვილოს ინოვაციების პოლიტიკასა და მართვის პროცესებში დანერგვის ახალი გზები.

ეს აღიარება კიდევ უფრო აძლიერებს EfxINNOs-ის ტრანსნაციონალურ ღირებულებას, რომელიც აკავშირებს შავი ზღვის აუზსა და ჩრდილოეთ ეგეოსის ზღვას — ორ მაღალი ეკოლოგიური მნიშვნელობის რეგიონს, რომლებიც ჯერ კიდევ არასაკმარისად არიან წარმოდგენილი ევროპულ საზღვაო მონაცემთა ინფრასტრუქტურებში.

United Nations Decade of Ocean Science for Sustainable Development (გლობალური ოკეანის მეცნიერების ათწლეული მდგრადი განვითარებისათვის)-ის (2021–2030) მიზნებში წვლილის შეტანით, EfxINNOs აჩვენებს, უფრო მდგრადი და გამძლე ლურჯი ეკონომიკისთვის, როგორ შეუძლია მიზნობრივ ინოვაციასა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობას უზრუნველყოს ხელშესახები გარემოსდაცვითი, სოციალური და პოლიტიკის დონეზე ზემოქმედება.



პერიოდი

08/2024 - 02/2027



მთლიანი ბიუჯეტი

1.643.648,40 €



EU დაფინანსება

1.479.283,56 €

პროექტის პარტნიორები

6 პარტნიორი შავი ზღვის აუზის 5 ქვეყნიდან:
 საბერძნეთი,
 ბულგარეთი, რუმინეთი,
 საქართველო და
 თურქეთი

საავტორო უფლება

©2026 | EfxINNOs
 პროექტი



ვინ ვართ?

პროექტის კოორდინატორი

▪ თრაქიის დემოკრიტეს უნივერსიტეტი - საინჟინრო სკოლა (DUTH) - საბერძნეთი

პროექტის პარტნიორები

- ბულგარეთის შავი ზღვის ადგილობრივ თვითმმართველობათა გაერთიანება (UBBSLA) - ბულგარეთი
- საზღვაო კვლევების და განვითარების ეროვნული ინსტიტუტი „გრიგორე ანტიპა“ (NIMRD) – რუმინეთი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ISU) – საქართველო
- სტამბულის უნივერსიტეტი (IU) – თურქეთი
- ვარნას ტექნიკური უნივერსიტეტი (TUV) – ბულგარეთი

რას ვაკეთებთ?

EfxINNOs არის ტრანსნაციონალური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციური საზღვაო ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელის შექმნას და ფუნქციონირებას შავი ზღვის აუზში მდგრად ლურჯ ეკონომიკაზე გადასვლის გასაძლიერებლად. პროექტი განავითარებს ახალ, ეკონომიურად ეფექტურ და ტექნოლოგიურად მოწინავე პლატფორმების ქსელს, რომელიც შეაგროვებს ზღვის წყლის ქიმიურ მონაცემებს, ასევე სურათებს და ვიდეოებს შავი ზღვისა და ჩრდილოეთ ეგეოსის ზღვის საზღვაო ბიომრავალფეროვნების შესახებ.

რას მივაღწევთ?

- შავი ზღვისა და ჩრდილოეთ ეგეოსის ზღვის ბენტოსური წყალმცენარეების მრავალფეროვნების კვლევას უახლესი ინსტრუმენტების გამოყენებით;
- microAUV, ROV და მოტივტივე ქერქეჭელას მონაცემთა ბაზები, რომლებიც შეიცავს ნედლ და დამუშავებულ მონაცემებს;
- მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ჰარმონიზებული მეთოდები და საზღვაო ბუნებრივი აქტივების განსაზღვრისა და ადამიანის ზემოქმედების შეფასების საერთო მეთოდები;
- ზღვის ფსკერის საზღვაო ნარჩენების მონიტორინგი;
- AI ინსტრუმენტებისა და ალგორითმების შემუშავება ზღვის წყალმცენარეების სიჯანსაღის შეფასებისთვის;
- საზღვაო გარემოს მონიტორინგი საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად;
- ციფრული საინფორმაციო კიოსკები ბულგარეთის საპილოტე ადგილებში

საკონტაქტო ინფორმაცია



ეწვიეთ ვებ.გვერდს



გამოგვეყევით სოციალურ მედია არხებზე



@Facebook



@LinkedIn



@YouTube

დაგვიკავშირდით

თრაქის დემოკრიტეს უნივერსიტეტი
გარემოსდაცვითი ინჟინერიის დეპარტამენტი
ეკოლოგიური ინჟინერიის და ტექნოლოგიების ლაბორატორია
67100 ქსანთი, საბერძნეთი
efxinno@gmail.com



BSB00193 – EfxINNOs

შავი ზღვის აუზში მდგრადი ლურჯი ეკონომიკის შექმნის და გაძლიერების მიზნით საზღვაო ტექნოლოგიების გადაცემის ინოვაციური ქსელის დაფუძნება და ოპერირება (EfxINNOs)

რედაქტორი: UBBSLA

საკონტაქტო ინფორმაცია: coordinator@ubbsla.org გამოქვეყნების თარიღი: 20.02.2026
საინფორმაციო ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორ(ებ)ს. მასალის შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის კავშირის ოფიციალურ პოზიციას.

პროექტი მხარდაჭერილია Interreg NEXT შავი ზღვის აუზის პროგრამის მიერ.

პროგრამის პრიორიტეტი: ლურჯი და ჭკვიანი რეგიონი;

სპეციფიკური მიზანი RSO1.1: კვლევისა და ინოვაციების შესაძლებლობების განვითარება და გაძლიერება, ასევე მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა
www.blacksea-cbc.net

Copyright © 2026 | EfxINNOs Project

თქვენ მიიღეთ ეს შეტყობინება, რადგან ხართ EfxINNOs-ის პარტნიორი ორგანიზაციების გამომწერი. თუ აღარ გსურთ ჩვენგან წერილების მიღება, შეგიძლიათ გამოწერა გააუქმოთ ამ ელფოსტაზე პასუხის დაბრუნებით.

